

13

17. 7. 94

დუინი უსავეთი გამოსახულ
უბისასთა რიცხვის სა გადაფე
ჭი 73 რა. გადაფეთი ზოგადობა

15 ლ ფრენტ, 1894 წ.
ივანე.

როსტოკ ენვე

ღ. კარიჭაშვილისა

გამოცემა

ღ. ჭიჭინაძისა



ტფილისი

სამხან გრ. ჩარქვიანისა || თიპ. გრ. ჩარქვიანი

1894



କର୍ମତୋରା ଏବଂ

ગુરું ગુરું ગુરું ગુરું ગુરું

34274

გამოცემული



© 30/3/06 0

სტამბა გრ. ჩარკვიანისა || Тип. Гр. Чарквіані

1894

Дозволено ценз. Тифлисъ, 14 Февраля 1894 г.

როსტომ ევფე

1633—1658 წწ.

I.

დიდი უბედურება ეწია საქართველოს მეთხსუთმეტე
საუკუნის ნასეკათში. იმ დროს, ოლდესაც ერთის მსროლ
ოსმალები, შეირე მსროლ სპარსელები ცდილობდენ სა-
ქართველოს დაპატირონებოდენ, ის განაწილდა სამს სა-
მეფოდ და სუთს სამთავროდ. მაგრამ თვით განაწილება
ისე საუბედურო არ იქნებოდა, ქართველს მეფებს და
მთავრებს რომ შეეგნოთ ქართველის ეროვნების ინტერესი,
თანხმობით ეცხოვრათ ერთმანერთში და შეერთებულიერენ
ფედერატივულის¹⁾ გავმიღით საერთო გარეშე მტრების მო-
საგერებლად. ამის მაგირ ქართველმა შეფეხმა და მთაჭ-
რებმა იწყეს ერთმანერთში ჯიბრი და მტრობა, ასე რომ
ისინი სშირად ერთმანერთის წინაამდეგ იწყებდენ გარე-
შე მტრებს. ამის დამნასავი სპარსელები და ოსმალები
უფრო გათამამდენ და უფრო სშირად იწყეს საქართვე-
ლოს არე-მარეში შემოსევა მის დასაპურობლად. ქართვე-
ლები კი ნაწილ-ნაწილ დაუთვილები, ერთმანეთის დაუ-

¹⁾ ფედერატივული კავშირი ჰქვიან ქვეყნების ისეთს კავ-
შირს, როდესაც ერთად იგერებენ მტერს და ერთმანეთში მშვი-
დობიანად და თანხმობით არიან.

სმარტებლად იძომოდენ და არ ემორჩილებოდენ მცირს. მაგრამ თას გააწყობდა ცალკე თვითონული საქართველოს სამეფო ან სამთავრო დიდის სპარსეთის და ლიმანეთის წინამდებარები. ქართველები მთელს თავიანთ ძაღლობის და-მოუკიდებლობის დაცვას ახდომებდენ და დრო და ძალა აღარ აჩებოდათ ცხოვრების გასაუმჯობესებლად და გო-ნების გასავითარებლად.

ცხადია, ასე არ იქნებოდა საქართველოს ერთობა ან ფედერატივული კავშარი რომ დაუცვა. ქსენის გეოგრა-ფიული მდებარეობა, სალსის სიმამაცე და მსინეობა და ცოტაოდენი პოლიტიკური კამპრიასობა და მოსერსებუ-ლობა მმართველებისა საკმარისნი იყვნენ, რომ ქართველის ერთ დაცვა დამოუკიდებლობა. მთანი და სეობიანი სა-ქართველოს აუ-მარეარ იურ ადგილი მტრის უემოსასევად. ქართველების თვით ბუნებრივის სიმამაცესთან მსინეობას აძ-ლევდა ის გარემოება, რომ ისინი იცავდენ მტრის წინა-მდებარე თავიანთ სახლ-კარს, სამშობლოს და სარწმუნო-ბას. საქართველოს მოსამზღვეო დიდი სახელმწიფო უნი-კრობის მტრები იყვნენ სარწმუნოებრივ და პოლი-ტიკურად. ამის გამო საქართველოს მმართველების შე-გძლოთ ისე დაუკირათ საქმე, რომ ერთ-ერთი იავანთვე შეემსროთ და ამ ნაირად თრისგანვე დამოუკიდებელნი დარჩენილიყვნენ.

მაგრამ იმის მაგივრად, რომ ქართველები მოჰიკე-ბულიყვნენ ერთმანერთში საერთო მტრების მოსავერებლად, თვით მტრები მოჰიკენ საქართველოს დასაპურობლად.

ერთმანერთში ცილიბის მოსასპობლად მთა საქალთველო
 ასე განსაწილეს: აღმოსავლეთი საქართველო, კ. ი ქათ-
 ლი და კახეთი დაიჩინა სპასერთმა, დასავლეთი საქარ-
 თველო, კ. ი. იმერეთი, სამცხე, გურია, ლიხაში და სტ-
 იაზეთი ლიმალეთმა ამის შემდეგ მოტების მიზანი
 უფრო ადგილი მისაღწევი შეიქნა. ერთმანერთთან ცილი-
 ბისაგან თავისუფლებმა მთელი თავიანთ მეცნადინებისა და-
 ნემებულის ჭიერების დაპურობას მიაქციეს. ქართველები
 მასტრი კიდევ მხსედ იუგნ და ჯოუტად ებრძოდენ მოტებს,
 მაგრამ ეს ჯოუტობა მკირად უჯდებოდა ქართველს ერს.
 ასეთ ერთსელის განსაწილებული საქართველოს შეუცნები
 გეღარ შეერთდენ და გერც მოასერსეს ფედერატივულის
 კაშირის შეკვრა, ეროვნების არსებობის დასაცემულად ისლა
 დარჩა, რომ თევითოვეული სამეფო და სამთავრო დამორ-
 ჩილებოდა ძალას და ეცნო მოტის. ზესელმწითება, რო-
 მელიც მანცა და მანც ძალიან საძნელო არ იყო ზე-
 სელმწითება, რომელიც სპარსეთსა და ლიმალეთის უნდო-
 და საქართველოს სამეფოებსა და სამთავროებზე მოეპო-
 ვებინა, მდგომარეობდა იმაში, რომ ქართველები ამათონი
 მოუკრულს ურთიერთობაში უოფალაუკენ, ხანდახან შეშე-
 ლებოდენ მოტის წინააძლევ და ეძლიათ მცირეოდენია
 სარჯი. სსკავრივ ქართველებს უტოვებდენ სიულის შა-
 ნაურის დამოუკიდებლობას და თავისუფლებას. ქართველე-
 ბის მსრით ლიმალეთისა და სპარსეთის ზესელმწითების
 უარყოფა მსოლიდი აბრაზებდა და ამძვინვარებდა მოტებს.
 ქართველების რომ ზესელმწითება დაეთმო, ლიმალეთის:

ან სპარსეთისათვის და ამ ნაირად მოქმედებინათ მშე-
ღობა, უფრო სასარგებლო იქნებოდა ქსეუნისა და ერ-
სათვის, კიდევ გამუდმებული შეხეხის მაზარალებელი და
ერის ამომწყვეტი ბრძოლა სრულის დამოუკიდებლობი-
სათვის. დროთა გამავლობაში მშეიდობინად განვითარე-
ბულს და დასკენებულს ქართველს ერს უპტელია შესკ-
დებოდა ისეთი შემთხვევა, როდესაც ადგილი იქნებოდა
მტრის თავითგან მოშორება და სამუდამოდ მტრის ულ-
ლისგან გათავისუფლება. სპარსეთიც და ისმალეთიც
სშირად ყოველან იმნაირს კრიტიკულს მდგომარეობაში,
რომლითაც შეეძლოთ ესარგებლათ ქართველებს.

ამჩინრის პოლიტიკის მაგირ ქართველი მეფე-მთავ-
რები მეოქვესმეტე საუკუნის მეორე ნასკრითვან დაადგენ
იმნაირს, რომელმც უფრო ააღელვა მტრები და გაამძი-
ნეარა მათ ჭინაამდეგ. მათ მიმართეს შემწეობის სათხოვ-
ნელად შორეულს სასელმწიფოს, მართალია, ძლიერს,
მაგრამ ისე და შორებულს, რომ მისგან რამე საგრძნო-
ბელის შემწეობის მიღება მოსალოდნელი არ იყო. ქარ-
თველმა მეფებმა და მთავრებმა სპარსებისა და ისმალე-
ბის სიმულილით რუსთ სელმწიფეებს აუთქვეს მორჩი-
ლება, შეკფიცეს ერთგულება და სცნეს მათი ზესელმწი-
ფება შემწეობის იმედით. ეს ამბავი რომ შეიტყეს სპარ-
სებმა და ისმალებმა, საშინლად იწყინეს. საქართველოს
რუსეთთან დასლოვებაში მათ დიდი საშიშოება დაინა-
ხეს თავიანთ მომავალისთვის. ცსადი იყო მათთვის, რომ
რუსეთი საქართველოს საშუალებით ფეხს მოიკიდებდა

მთელს გავგასიაში და შავსა და კასპიის ზღვებზედ. ამ მომავალის საშიშროების ასაცილებლად იმათ მოიხდომეს მის მიზუზის მოსპობა. მათვის ცხადი იყო, რომ საქართველოს მეფე-მოავარნი და თავადი მანაძე არ შეურიგდებოდენ. სპარსეთისა და ოსმალეთის ზესელმწივებას, სანამ ისინი სარწმუნოებრივ ჯრ შეეთვისებოდენ მათ. ამიტომ მათ საჭიროდ დაინტეს საქართველოში მაჭადიანის მეფებისა და მთავრების დაუეხება, დიდგაცობის და მათ საშუალებით მთელის საფსის გამჭმადიანება.

ოსმალეთმა დაიწყო მათ, რომ სამცხე დაიმორჩილა, მთავრის მაგიერ ფაშად დასვა გამაჭმადიანებული ათაბაგი და ძალით შეუდგა სამცხეს თავად აზსაურების გამაჭმადიანებას, ამას შემდეგ სამცხე სრულებით ჩამორჩა საქართველოს. და შეუერთდა ასმალეთს სპარსეთმაც აგრეთვე მოინდომა ქართლსა და კასპეთში. მაჭადიანის მეფეების დასმა და მათ საშუალებით თავად-აზსაურობის მისრობა. 1615 წ. შავაბაზ I შემოესია დიდის ჯარით გახეთსა და ქართლს, დაიმორჩილა ეს ქაუნები და გადევნა მათ მეფეები. გახეთში თემურაზ I-ის მაგიერ შეიგედ დასვა მისი ბიძაშვილი იქსე გიორგის ძე, ქართლში დურსაბ II-ის მაგიერ მის შვილის მმისწული ბაგრატ დავითის ძე, ორნივე მაჭადიანება. სპარსეთის ყაუნები დიდის შატივისცემათ იღებდენ თავის კარზე იმ ქართველის ბატონიშვილებს, რომლებიც მათთან გამოცხადდებოდენ. ისინი უნიშნავდეს მათ ჯამაგილს, აძლევებდენ დიდს თანამდებობას და კვირდებოდენ საქართველოში გამეფებას, მსოლოდ ერთის პირობით, რომ მაჭადიანობა მიეღოთ აგრეთვე პატივით

კუროდებ დიდებულს ქართველს თავადებს, ოთმლებიც
მათთან მოვიდოდენ. ამნათის მოპერობის გამო მეჩვიდ-
მეტე საუკუნის დასაწყისში სპარსეთში, ცხოვრებდენ ქარ-
თლის ბატონიშვილები ბაგრატ და სოსო დავითის
ძენი, იუმურაზ გასტანგის ძე და კასეთის ბატონიშვილი
იესე გიორგის ძე. ლუარსაბის შემდეგ მეფის ტახტის
კანონიერი მემკვიდრე იუს ბაგრატი, თეამურაზის უებ
დეგ იესე და უახმაც ისინი გაამეფა იმ იმედით, რომ
ისინი ერთგულად დაიცავდენ მის გაესელმწიფებას. ბაგრატ
ქართველებმა არ იყაბულეს მაჭმადიანის მეოგების დანი-
შვნა. კახელებმა იმავე წელიწადის გამოდეგნეს იესე მეოგე
და მიღწეის ისეგ თეამურაზ მეფე. ამის გამო შაჟ-
აზი შემოესია გასეთის შეორედ (1616 წ.), აიგლო
და ააოსრა ეს ქვეყანა, აჭყარა 100,000 ქართვე-
ლი და მათ ალაგას დასასახლა თათრები, ხოლო გამტე-
ბლად დასგა ტეიქარ-სანი. კახელები არც ამისთან სა-
მაგალითო სასჯელის შეუშინდეს. მათ კიდევ მიღწეის და
გაამეფეს თეამურაზი არა ერთსელ შემოესია გასეთის
სპარსეთის კარ. და გადება თეამურ ზი, ბაგრატ კახე-
ლები თავისას არ იშლიდენ და თეამურაზის ამეფებდენ,
სპარსელები წამოვიდნენ თუ არა ქართლში გამეფებულს
ბაგრატს და მის შემდეგ მის შეილს სკიმოს არც ქარ-
თლელები მონჩილებდენ და თეამურაზის იწვევდენ მის მა-
გირ. ბოლოს მოვლეს კადეც სკიმოს მეფე და ქართლისა
და გასეთის მეფედ შეიქმნა თეამურაზი (1629) წ. ა. გით
შაჟ აბაზის მეადგილე უახნა შაჟ-სეფი, რომელიც მაშინ

ასმალეთის წინაამდეგ ბრძოლაში იყო გართული, იმუ-
ლებული შეიქნა დაემტკიცებია თეიმურაზი ქართლისა და
გახეთის მეზედ.

ამ ნაირად გამეფებულს თეიმურაზის დიდის სხით
განაწილებულს ქსეუნებში იმის მეტი აღარა დარჩენილდა-რა,
რომ მოემტკიცებია ქართლი და კახეთი, კარგი გახწყო-
ბილება დაეცირა ყაქითან და მშვიდობისად ემეფხა თავის
სამეფოს საკეთა ზღვები. მაგრამ ამის მაგირ მან მო-
ისდომა სპარსეთის ჯავრის ამოურა. თეიმურაზი მორიგ-
და ყარაბაღის ბერჭარბეგს დავით უნდილაშესთან, რომე-
ლიც ყაქის ემდევროდა პირადის შეურაცხებისათვის, მი-
იშველია იმერეთის, ოდიშის და სამცხის კარი და შეესია
აცეზის აქეთა სპარსეთის მაზრებს იმ დროს, როდე-
საც ყაქი ასმალებს ებრძოდა (1632 წ.). თეიმურაზიმა
აიგლო იქაურობა, დასოცა მრავალი სპარსელები და მდი-
დარის ალავით დაბრუნდა უგრძებე. ამ ნაირმა გალაშქრებამ
არაიყერი დააკლო-რა სპარსეთის და მსოფლიდ ყაქი
გაბრაზა. თეიმურაზის რომ ასმალებთან კავშირი დაეცი-
რა და დაპყრობილს ქსეუნებში თავის მმართველები დაეუე-
ნებინა, როგორც ამას სომხეთის კათოლიკოზიც ურჩევდა,¹⁾
იქნება სპარსეთი შესუსტებულიყო და ქართლისა და გახე-
თის სამეფო გამაგრებულიყო. მაგრამ თეიმურაზი ასე
არ მოიქცა, დასჯერდა მარტო ალავს. ყაქიმა კი ასმალე-
ბთან ბრძოლა განაგრძო და, როდესაც საქმე გამოუგეო-

¹⁾ გიორგიჯანიძე იხ. Histoire de la Géorgie t. II., l. I, p. 63).

და თეიმურაზს შემოუთვალია, ორმ მისი მოღალატე ყარაბაღის ბეგლარბეგი დავით უნდილაძე მისთვის გაეგზანა. თეიმურაზმა უნდილაძის გაგზავნაზე უარი უკა და სთხოვა ორმ მიეტეპებია მისთვის დანაშაული. მაშინ გაბრაზებულმა ყაქმა ქართლის მეფედ სოსორ ბატონიშვილი დანაშანა, კახეთის ვამგებლად სალიმ-ხანი. თეიმურაზის გასაძებებლად კი გამოგზანა სპასალანი როსტომ სიავაძე ჯარითურთ (1633 წ.).¹⁾

II.

სოსორ ბატონიშვილი იყო უკანონო უკილი დავით მეფისა, მმა ბაგრატ VI დავით მეფის ქართლითვები გამებების შემდეგ (1579 წ.) მისი შვილები ბაგრატი და სოსორ სპასალეთის წავიდენ და იქ იზრდებოდენ ყაქების მფარგელობის ქვეშ. სოსორ ჭკვიანი და მოსკოვისებული კაცი იყო, შაჰ-აბაზ ყაქმა კარგად დააივასა ის და მისცა ის-შანის მოურაობა. 1624 წ. შაჰ-აბაზმა სოსორც გამოგზანა ქართლში საფაშქროდ, ორგოც ერთი ჯარის უფროსთაგანი, ისახანის წინამძღოლობის ქვეშ აქითვან დაბრუნებულს 1625 წ. ყაქმა მისცა უკანალასობა, ე. ი. დანაშანა იმ ჯარის უფროსად, ორმეტიც ქართველის

1) ვახუშტი დვლის 1634 წ., მაგრამ ჩვენ უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია მუნჯი, ომელსაც ემოწმება ოსტომ მეფის გუჯარიც, სადაც 1848 წ. იხსენიება მის მეფობის მეთექვსმეტე წლად (იხ. ქართული ქრისტ. ჩუბინოვის 203 და H de la G t. II, I I. p 498).

ტუკებისგან შესდგებოდა 1) 1628 წ., ოთდესაც შექ-
აბაზის სიკვდილის შემდეგ სპარსეთში ჩამოვარდა შვილთი
და ცილობა ტახტის დაქერის ვამო, სოსორო უყლასალა-
სმა თავის ჯარის (უყლების). საშვალებით ეაქნად დასკა
შაქ-აბაზის შვილის შვილი შაქ-სევი. ასალმა ეანმა ძა-
ლიან შეიუგანა სოსორო, ემორჩილებოდა მის გავლენას და
მამას ეძახდა. ბოლოს მადლობა მათ გადაუსადა, ოთბ
ქართლის მეფედ დანიშნა. ამასთანავე გამოუცხადა სასელი
და უწინდა ოსტომი, ოთმლოთაც ის შემდეგ ში იწოდებოდა.
მაშინ ოსტომი 67 წლის მოსუცებლი იყო.

ოთსტომ სააკამეს და ოთსტომ მეფეს თან წამო-
ჰყანენ უგელა ის ქართველი თავადები, ოთმლებიც სპარსეთ-
ში ცხოვრებდენ. სპარსების ჯარი ოთბ ხენანის მოვიდა,
თეიმურაზი მუსიანში შეუდგა მის დასასველოთ მზადებას
და მიიწვია თავადები ჯარით. მაგრამ ბევრი არავინ მივიდა
მასთან. პირიქით, ოთსტომის გამეფება ოთბ გააგეს,
იმის მსარეზე გადავიდენ ბევრი. მაშინ თეიმურაზი
ცოლშვილით იმერეთის საზღვრისკენ წავიდა. სპარსელები
მოვიდენ ტივალისეს და ოთსტომი გამოაცხადეს მეფედ.
სპარსალამა სააკამე 2,000 კაცი გაგზნა თეიმურაზის
წინააღმდეგ. თეიმურაზმა ამ ამხავზე იმერეთისკენ გასწია.
სპარსელები დაეწიენ პერანგის მთაზე მის მოსამსახურებს
და წაართვეს ბარებ.

1) იხ.: ოსტომი მეფის გუჯარი ჩუბინოვის: ქრისტომა-
ტია გვ. 198.

ტფილისითგან ოცსტომ მეფე და სპარსელები გროს
მივიდენ და ოცის დღის გამაგლობაში გროს ციხე
შეკვეუს. ოცსტომთან მოვიდენ ქართლის დიდებულები
და მორჩილება გამოუცხადეს. მცირეოდენთა შორის ოც-
სტომთან არ გამოცხადდა ფარსადან ციციშვილიც. ამის
გამო ოცსტომ სპასალარი შეესია საციციანოს და დაუ-
წყო ასარება. ოცსტომ მეფემ რომ შეიტყო სპარსელების
ბარიაროსული ქცევა, შეუთვალა თოსტომ სპასალარი:
„საქართველო ისედაც ასარებულია და თქვენ რასდა ა-
სრებთო,,. სპასალარსა და მეფეს შორის ამის გამო
უთანხმოება ჩამოვარდა და როთა უკანის მისწერეს ერთ-
მანერთის წინაამდეგ. ყაენმა ოცსტომ სპასალარი დაბიარა
და მის მაგიურ გამოგზანა შირვანის ბეგლაზეები. ოც-
სტომ სააკამეს წასკლის შემდეგ ციციშვილი და სხვა
თავადები მივიდენ ოცსტომ მეფესთან უორში და მორჩი-
ლება გამოუცხადეს. ¹⁾

ამნარად გამეფედა ოცსტომ ქართლში. იმავე დროს
კახეთში სახად დაჭდა სელიმ-ხანი ოცსტომის სელმწი-
ფების დასაცემად სპარსელებს ეჭირთ სამი ციხე:
ტფილისისა, გორისა და სურამისა. ამას გარდა ყაენის
ბრძანებით ოცსტომს ექვემდებარებოდენ ყაზხისი, შამშა-
დილოს და ლორის სანები, ომელთაც მისთვის შემწე-
ობა უნდა მიეცათ, ოცა დასჭირდებოდა. პირადად ოც-
სტომი მაღიან მდიდარი იყო. გილანის ქალაქითვან ექვე-

¹⁾ Chronique Géorgienne p. 66.

ოდა წლიურად სამასი თუმანი; ოცნებულ ისპაანის
მოურავი, იღებდა შემოსავალს ამ ქალაქითვან, ხოლო
თავის თანამდებობას ასრულებინებდა თავის დანიშნულს
გექილს. ოსტომისევ ეპუთნოდა ფუშტუშუ და სუინი და
ჭუავდა 5000 კუმლი თათარი ელი და ომასი ემად.
თუმცა ოსტომი პატარაობითგანისე სპარესთში იყო
გაზღდილი, იმას მაინც უუჩარდა ქართველობა და დიდის
პატივისცემით ეკიდებოდა ქრისტიანობას, ასე რომ ის
მაქმადიანი იყო გარევნულად და არა ნამდვილის დაჯერე-
ბით, ქართველებისა და ქრისტიანობის სიუკარულთან ის
აერთებდა სპარსეთის ქრთვულებას და მაქმადიანობის
აღსარებას. ის ფიქრობდა, რომ მარტო მშვიდობიანი
განწყობილება სპარსეთთან და უახნის ზესელმწიფების
ერთგულება იყო ერთად ერთი საშვალება საქართველოს
გეთალდღეობისა დიდის სინის გამავლობაში შენაძების
გამოცდილებაში შეაგნებინა მას თუ რა უბედურება სკდილია
საქართველოს ჯოუტობით და დაუდგომდობით. ამიტომაც
მოელის მის მეფობის პოლიტიკა იყო სპარსეთის ზესელ-
მწიფების ერთგულება და სამეფოს შინაური აღორძინება.
მაგრამ ქართველმა დიდებულმა თავადებმა არ იყაბულეს
ასეთი მიმართულება და წინამდეგობა დაუწეუს ოსტომი
მეფეს, ომელმაც მთელი თავის მეფობა მათ დაწენარებას
და დამორჩილებას მოანდობა.

III.

ქართლში მოსვლის დროს ოსტომის არ ჰყავდა
ცოლშვილი. კასუშტის მატიანის მოწმობით მოსვლისა-

თანავე მეფემ მოითხოვა ცოლად გროვასპ ახაშიშვილის
ასული ქეთევან. ქეთევანი უნდა მალე მომკვდარიყოს,
რადგან 1634 წ. ოსტომია შეირთო დაიშის მთავრის
ლევან დადიანის და მარიამ, ცოლი სვიმონ გურიელისა,
რომლისგანაც ის გაშორებული იყო. ¹⁾)

ამ ქორწინების შემდეგ იწყება ქართლში დადებულის
თავადების არეულობა და შვილთა. მეფის ურჩობის
დაწყების ნიშანი მისცა დათუნა არაგვის ერისთვემა. რა-
დგან მის მმაპ ზურაბ ერისთავმა მოვლა სვიმონ II,
ოსტომის ძმისწული, უკელას ეგონა, ომ იოსტომი
შურს იძიებდა დათუნა ერისთავზე. თვით ერისთავსაც
შიში ჭრნდა და მუდამ იყრისილობდა. მეფე რომ
მარიამ დედოფლის მოსაყვანად წავიდა იმერეთის სა-
ზღვარზე, ისიც თან ასლდა. სურამში უოზნის დროს
ისე შეაშინეს დათუნა ერისთავი მოსალოდნელის განსაც-
დელით მეფის მსრით, ომ მან დატოვა მეფე და სურა-
მითგან იოსტომის დაუკითხავად თავის საერისთვოში.
წავიდა. ოსტომი მეფეს ეწყინა ერისთავის საქციელი და
ამ ნაირად მათ შორის ჩამოვარდა უკმაყოფლება. დათუ-
ნა ერისთავმა დაიწყო მოლაპარაკება სსვა თავადებთან და
მიწერ-მოწერა გამართა თემურაზ მეფესთან, ომ მოქმე-
დება დაწყო. ოსტომის წინაამდეგ. ოსტომი მეფე

1) ვახუშტი თვლის 1638 წ., მაგრამ წინაამდეგს მო-
წმდებენ ხონისა ღა ილორის ხატების ზედწარწერანი, სადაც
გიორგი იმერეთის მეფის ტყვეობა, ომელიც მოხდა იმავე
წელს, იხსენიება 1634 წ. (იხ. H. d. G. t. II. L.
pp. 269 და 535)

შეუთვალია 1635 წ. მუსრანითვან ერისთავს, ოომ ის ან
მასთან მისულიყო, ან ყაენთან წასულიყო. თუ ერისთავი
უარს იტუოდა, მეზე მზად იყო ჭარით საერისთვოში
გასალაშექრებლად. ერისთავი იძულებული შეიქნა მეზესთან
მისულიყო. მაგრამ ის მაინც ფრთხილად იყო, თუმცა
ოსტომია კარგად მიღიღ, ასე რომ სადილობის დოკ-
საც კი მეზის სუფრაზე იარაღს არ იხსნდა. ამავე დროს
მუსრანში შეიპურეს თემურაზ მეზის კაცი, ომელსაც
ერისთავთან მიწერილი წერილები უპოვეს. დათუნა ერის-
თავმა მოინდომა წერილების გამორთმევა, მაგრამ მეზის
ბრძანებით არ დაანებეს. ერისთავი გაჭირვეულდა და რამ-
დენიმე კაცი დასჭრა ხანჭლით. მაშინ როსტომის ბრძა-
ნებით თოვი ესროლეს და მოჰკვდეს ის. ¹⁾

დათუნა ერისთვის შემდეგ არაგვი დაიჭირა მისმა
ემამ ზაალმა, ომელმაც აგრეთვე წინამდევრიბა და ურ-
ჩობა გამოუცხადა როსტომ მეზეს. როსტომი მის
დასამორჩილებლად მუსრანითვან წავიდა ჭარით. ზაალ
ერისთავმა შეჭკრა გზები თავის საერისთვოში და მოემზა-
და მოსაგერებლად. როსტომ მეზე მივიდა ბაზალეთს,
სოლო იქითვან გასული რომ ტყეში შევიდა, არაგველე-
ბი, ომელებიც ჩასაფრებულნი იყვნენ, დაეცენ მეზის ჭა-
რის საბარგე ურმებს, დამსსკრებეს ისინი და მით გზა
შეჭკრეს. გიდრე მეზის ჭარი დამსსკრეულს ურმებს მასლაგ-

¹⁾ Chren. Géor. p. 67; Giorgidj. (H. d. G. t. II. I, p. 67).

მოალაგებდა და გზას გასინდა, არაგველები თოვს
ესროდენ და დადს ჩარალა აძლევდენ. ოსტომ მეფებ
დახნასა, ოომ ლაშქრობის გაცრძელება საჩიანოებოდა და
უკანებ გამობრუნდა. საბურდიანოში გაიგო, ოომ თემუ-
რაზ მეფე იმერეთითგან გადმოსულიყო ქართლში. ამის
გამგე როსტომ მეფე თბილისს წავიდა. ¹⁾

ზაალ ერისთავისა და სსვა თავადებისგან მიწვეულმა
და წაჭებულმა თემურაზ მეფე როსტომის არაგვზე
გალაშქრება გარგს შემთხვევად სცნო, ოომ მის წინაა-
მდევ დაწყო მოქმედება. იმერეთითგან გადმოვიდა ქართლს,
იხასულა ვასტანგ მუსრან-ბატონი და იოთამ ამილასვარი
და წავიდა ვახეთს, სადაც, უკაველია, თავის მომსრები
იწვევდენ სელიმ ხანის წინაამდევ თემურაზმა ვახეთში
შეკრიბა ჯარი და გადმოვიდა ქართლს, მივიდა მუსრანის
და იქითგან წავიდა ქსნის საერისთვოში. თემურაზთან
მოიყარეს თავი ზაალ არაგვის ერისთავმა, ვასტანგ მუსრან-
ბატონმა და იოთამ ამილასვარმა. თემურაზი შეკრებილის
ჯარით დაესსა კორს, მაგრამ ჭიხე გერ აღდო. ოსტომ-
მა თავის წინაამდევ შემდგარის ვაკშირის მოქმედება
აცნობა ყაენს, მაგრამ მისვან არაფერი შემწეობა მოუ-
გდა რა, რადგან თითონაც გაჭირებულს მდგომარეობაში
იურ ასმალეთან ბრძოლის გამო. მაშინ ოსტომ მეფებ
შეკრიბა სომხით-საბარათიანოს ჯარი და მივიდა კორს.
ქართლითგანაც მიწვია ჯარი. თემურაზ მეფე და მისი

¹⁾) Gorgidj. (H. d, G. t. II, l, I, p. 68.

მოკავშირე თავადები წამოუიდენ იკრატთიოგან და შე-
ებრძოლენ გორის ასლო. კარგა სანს გამარჯვება სადაც
იყო ორისავე მხრით. ბოლოს ორსტომია ჯობა და მისი
მოწინაამდეგები უკან დაბრუნდენ იკრატთის მთისკენ.
თეიმურაზი და თავადები არაგვის საერისთვოში მივიდენ.
ორსტომი ტფილისს ჩავიდა. ¹⁾

ამნაირად ორსტომ მეფეს პირველისავე წლებითგან
წინაამდეგობა დაუწეუს ქართლის უმძლავრესმა თავადებმა:
არაგვის ერისთავმა, ქსნის ერისთავმა, მუსრან-ბატონმა
და ამილასკარმა. ცხადია, ამათ უკელაზე ნაკლებ იამებოდათ
იმისთანა მეფე, ომელიც იცავდა მეფურს უფლებას და
ცდილობდა წესიერება დამყარებინა. ორსტომი პირად
მდიდარი და სპარსეთის ჯარზე დამყარებული არ ითმენდა
ქართლის დიდებულების თავნებობას და მათგანაც მორჩი-
ლებას ითხოვდა. თავნებობას მიჩვეულს დიდებულებს
უსმელდათ სამართლიანი და მაოგან დამოუკიდებული მეფე
ორსტომი და ამიტომაც მოინდომეს თეიმურაზ მეფის
სელასლად გამეფება.

თეიმურაზ მეფემ, ძალით ომი კერას გახდა ორს-
ტომის წინაამდეგ, კიდევ რუსთ სელმწიფეს მიმართა
ჟემწერბისთვის. 1635 წ. ენგენისთვეში გაგზანა რუსეთს
მოციქულად ნიკიფორე მიტროპოლიტი და გაატანა
წერილი რუსთ სელმწიფესთან, ომელსაც სთხოვდა
მფრინველობას და მაშველის ჯარის გაგზავნას. ²⁾ ამას

¹⁾ იქვე.

²⁾ Переп. грузин. царей в русск. госуд. ст. 28.

შემდეგ თავის მეცნადონება კასეთის დაჭირას მიატყო. 1636 წ. არაუგისა და ქსნის ერთისოების დასმარებით შეკიდა კასეთის, გააძია სანა და დაიჭირა ქსნისა. ეს ამბავი როსტომმა ყანს შეატყობინა. შაჟ-სეფიმ ასე შემოუფვალა როსტომს: „რავი წრეულ ჩენ თითონ არ მოგვისდა მოსვლა, კუბძნეთ ადიონეუანის ჯარს, რომ შემოგიროდეს შენ; აარსო უპელათერი, რაც შენ გეურსება და შენ წინა-ამდეგ არის“. ამ მოწერილობისამებრ როსტომ მეფიშე გაი-ლა შერა კასეთზე. თეიმურაზ მეფე შეშინდა და როსტომს მოციქული მიუგზანა, რომ შერიგებოდა და ყაენთან ეშვემდგომლა მის შეწყნარებისათვის. ამასთან დაჭირდა ყაენთან თავის ასულის თხნაონიშის გაგზავნას. როსტომმა ყანს აცნობა თეიმურაზის თხოვნა. ყანმა არჩა თეიმურა-ზთან მორიცვება, რადგან იმ დროს რსმალთაგან შევიწოდ-ებული იყო, დაამტკიცა კასეთის მეფედ და გამოუგზანა 1000 თუმანი.

1637 წ. შაჟ-სეფიმ გამარჯვა რსმალებზე და უკანვე წართვა ერეგანი. ყაენის მინდობილობით როსტომმა გაი-ლა შერა სამცხეში რსმალების წინაამდეგ. ყაენმა ამ ლა შერობისათვის როსტომს აჩუქა 2000 თუმანი. ¹⁾ სპარსელების გამარჯვებას მოჰყება მორიგება რსმალებთან. იმ მორიგების ერთის მუხლის მაფია სელ-ასლად საქარ-თელო რად იქნა განაწილებული: აღმოსავლეთი სპარსე-თისთვის, დასავლეთი რსმალებისთვის.

¹⁾ Chronique Géorgienne p. 68.

რამდენად გაჩვიადებული იყო ქართლის თავადების თავ-
ნებობა, ეს სჩანს იმ ამბითგან, რომელიც მოსდა 1637 წ.,
როდესაც ცოტი გაწყდა, რომ იმი არ გაიძირთა როს
დასად გაუღილეთ ქართლის თავადთა შორის, ხოდან
ციციშვილი და იქ ქსნის ერისთავი დაკბლენ სოფლის
გარალეთის გამო; მშვიდობიანზე კერ მორიგდეს და, იმის
მავიერ რომ მეოვის სამართლისთვის მიენდოთ საქმის
გარჩევა, მზათ იუგენ თავიანთ უფლება იარაღით დაუცემათ.
ციციშვილს ქომაგობდა ზაალ არაგვის ერისთავი, ქსნის
ერისთავს ითამ ამილასვარი იქ ერისთავი და ითამ
ამილასვარი თავიანთ კარით გორს ზევით იდგენ, ციცი-
შვილი თავის ჯარით გორს ქვერთ იდგა და უცდიდა
არაგვის ერისთავის ჯარს ამნართად შუა-ქართლში მზად
იყო ატესილიყო თავადების რომ იმ დორს, როდესაც
ტივილისში მეოვე იჭდა. როსტომ მეოვემ არ შეიწყისარა
ასეთი თავნებობა და ჩაერთა მოწინაამდევებითა შუა: გარალეთი
ავეთნა ციციშვილს, სოლო ქსნის ერისთავს და
ამილასვარს უბრძანა დაწყნარებულიუგენ ისინი რომ არ
დამორჩილდეს, როსტომ მეოვე შევიდა საამილასვაროს და
ქსნის საერისთავოში, შეიპყრა ამილასვარის და ქსნის
ერისთავის ცოლშვილი, წაართვა მამული და შისცა
სსებს: საერისთვო ელიზბარ ერისთავს, საამილასვარო
ბეჟან ამილასვარს. იქ ერისთავი და ითამ ამილასვარი
გახეთს გაძეცენ თემურაზ მეოვესთან, კახეთითგან ამ
თავადებმა გამოუგზანეს მარიამ დედოფლის თხოვნა, რომ
აშეამდგომლა მეოვესთან, გაეგზან მათან მათი ცოლ-

შვილნი, რომლებიც გრატის ციხე შა იუგენ. მართამ დედოფლის შეამდგომლობით როსტომმა აასრულა მათ თხოვნა. პატარა სანს უკან როსტომ მეფებ თვით ითხოვ ამილა-სკარსაც აპატივა დანაშაული და მამული დაუბრუნა მას დედის თხოვნით. იქ ერთი კი სპარსეთს წავიდა, და იქ მოკლულ იქნა თავის პირადის მტრებისგან ¹⁾).

IV.

როსტომ მეფეს არც მართამისეგან გაუჩნდა შვილი. თავადებმა ამის გამო უტჩიეს რომ ეშვილნა იმერეთის მეფის გიორგის შვილი მამუკა. გიორგიჯანიძის თქმით, მათ ასე დაასაბუთეს თავიანთი რჩევა: „ამისთვის საქართველო არ წენარდებისო, რომ შვილი, მას და ახლო ნათესავნა არა გუვანანო და თქვენს საბოლოოს არა სედენო; მამუკა სატონიშვილი იშვილეთ და თქვენიც მოისვენეთ და საქარ-თველოც მოასვენეთო; თქვენს უგან იმას ვაბატონებთო“. როსტომ მეფებ ეს რჩევა დაიკურა და მამუკა სატონიშვი-ლი მიიწვია. მამუკა ვამოჩენილი ვაჟგაცი იყო თავის მა-მაცობით. იმერეთითგან ლეკან დადიანის მძღვანელობით გამოქვეყნული ასალფისები ცხოვრობდა. როსტომის თხოვ-ნით ის მოვიდა ასალფისითგან თავის ამაღით და როს-ტომმა დიდის ამბით იშვილა.. ²⁾

¹⁾ H. d. G. t. II, l. I. p. 70.

²⁾ გიორგიჯანიძე (იხ. ქართლის ცხოვ. ტ. II. გვ. 517)

როსტომის მოწინაამდეგებმა მამუკას თავიანთკენ
მიმსრობა მოიხდომეს. მას აუთქეს გამეფება, თუ როს-
ტომი მოკლებ იქნებოდა. ამ აუთით გამართეს კიდეც
შეთქმულობა. სასასჭის აბანოში მოღალატები ჩაუს-
სეს, რომ მეფე მოეკლათ, როცა შეკიდოდა საბანებლად.
მაგრამ ეს შეთქმულობა გაცილებდა, რადგან მოღალატების
აბანოში შესული ერთი მერიქივეთ-უსუცესის ყმა სიძნე-
ლეში მეფედ მიიღეს და დასკრეს. სმახე რომ გაიგეს
თავიანთი შეცდომილება, შეშინებულები მტკვარში ჩაცეიკ-
დებ და ცურვით გავიდენ მეორე ნაპირას. მეფემ რომ
შეიტურ მომხსდარი ამბავი მიხვდა, რომ შეთქმულობა
უოფილა მის წინაამდეგ, მაგრამ იმ სახად არაფეროდ თქვა-
რა, მსოლოდ ოცის დღის შემდეგ სომანქოდის ჭალაში
მეოდეს მამუკას გაუგზანა ათა ათასი მარჩილი და
შეუთვალა: „ყაენისგან მერიდების, რომ კარზე არ
გისმონო, ჩემგან საივიცარი გაქვთ, რომ თქვენი უნებური
არა გაკარდო რაო, სოლო თქვენც მოგეხსენებათ, ყაენის
უარი არ შეგვიძლიანო. ისრეგე ასალცისეს მიბრძანდით
და რაც სელით გამოგვავა, აქიდამაც მოგიმართავთ სელ-
საო“ მამუკა ბატონიშვილი, რომელიც, როგორც სჩანს,
რეულა შეთქმულობაში, აიყრა თავის მსჯებლებით და
წავიდა ასალცისეს. 1) ჩვენის აზრით ეს ამბავი უნდა მო-
მსდარიყო 1638 — 1640 წლებში.

შეთქმულობით რომ გერას გასდენ, ქართლის თავა-

1) იქვე გვ. 517 და 518.

დემა გადაწყვიტეს ოთსტომის წინაამდებ კიდევ იარაღის
აღება. ამ მეორე აჯანყების მოთავენი იყვნენ: ზაალ არავგის
ერთსთავი, ილამ ამილახვარი, ნოდარ ციციშვილი და ეპლე-
მოზე კათოლიკოზი. 1641 წ. შეითქვენ, ომი მტკვრის
მარჯვნიდან ნოდარ ციციშვილის შემკრძალა ჯარი, მარცხნივ ზაალ
ერთსთავის და ილამ ამილახვარის. თეიმურაზე მეფეც თავის
ჯარით უნდა მისულიყო მცხეთას, სადაც მას შეუძლიდე-
ბოდენ აჯანყებული თავადები ნოდარ ციციშვილი ცდილობდა
თავისკენ მიემსხო უკელა გამოლის ქართლის თავადები და
კინც არ მიემსრობოდა, მამულის ურბევდა. ამჩირის
მოქმედებით იმან შეკრძალა საცირიანოს და სისკა კუთხების
ჯარი და დადგა სოვლები. ციციშვილის არ მიუდივ სისკათა
შორის ილამ სააკამე, გოლოგი მოურთავის შვილი, რომე-
ლიც როსტომ მეფემ აზრუმითგან მოიყვანა და მამისულის
მამულის დაპირისა. ილამ სააკამემ აცნობა მეფეს ციცი-
შვილის ამსედობა და ერთსთავისა და ამილახვარის
განძლევა მასთან შეერთებისა. რა წამსაც როსტომმა ეს
ამბავი შეიტყო, მაშინვე მისწერა სააკამეს ტიგილისითგან:
„რა წამსაც ეს წიგნი მოვივიდეს, ფიცხლავ გზები შეჭრა,
რომ აქითგან მიმავალი კაცი იქით არ გაუშეს და, ღვთის
შეწევით, ამაზამ ერთგან შევიყრებით“. მეფემ ბრძანება,
გასცა, რომ ქალაქის მცხოვრებლები საჭამქოდ მომზა-
დებულიყვნენ და იმავე საფამოს მცხეთაში შეკრებილიყვნენ.
საჭამოზე თვით მეფეც მივიდა მცხეთას და დასედ-
შეურთავის ჯარს, შეძლევ სწრაფად წავიდა გავთისხევისა
გმნ. აქ მეფეს მიეგება ილამ სააკამე თავის ჯარით.

დილით მეფის ჯარი სოფლის ბოლოზე იურ კიდეც როსტომმა ჯარი საომრად მოამზადა მეფეს ურჩიეს, რომ ცი-
ცი შვილს დასსმოდა მოუღოდნელად, მაგრამ მან არა ქნა და
დაძასხებინა ქანარები, რომ ციც შვილსაც შეატყო მეფის
მიახლოება. როსტომმა იმდენი სინი მოიცედა, კიდოუ მის
მოწინაამდეგენიც არ მოემზადენ საომრად. მაშინ მეფე
უბრძანა ჯარს ომის დაწუება. ნოდარ ციც შვილმა პირედ არ
მიაღო ბრძოლაში მონაწილეობა და ერთის ცისეში გამაგრდა.
მის მაგირ იბრძოდენ მეფის წინაამდეგ იმერელი თავადები
სსეიძები, რომლებიც მამუკა ბატონიშვილს მოჰყენ ქართლ-
ში და ოშე დატჩენ მის წასკლის შემდეგაც. ბრძოლაში
მეფემ კამარჯვა და დაწილი სსეიძები მსარ-წაგრულები
მართვეს. მას როსტომმა ბრძანა მათვის მკლავები
გაეხსნათ და გრას წაეყვანათ, ჰოშაგები და წედსა ფეხი მაუცათ
და კარგის ბატივით სეჭი შეაწყოთ. ბრძანება გასცა
აგრეთვე რომ გაქცეულთ არავინ გამოსდეგნებოდა და გრძაც
ტყეე დაწირა, გაეშა. როსტომ მეფე მეორე დღეც
გორს მივიდა. ¹⁾

საზოგადოდ ლმობირი, როსტომი ამ შემთხვევაში
მკაცრად მოქცა მსოფლოდ დედოფლის სალთსუცესს
ქაისოსრო ბარათაშვილს, რომელსაც აჯანყებულებთან
ჰქონოდა კაგშირი. გორითვან გაგზანა ტფილის ჩაივარი
ბრძანებით, რომ ბარათაშვილი დაწირათ და ციხითვან
გადმოეგდოთ კლდეზე. იმის შეიღებაც დააქერძნა, და
გორის ცისეში დაამწუბდეგინა. ²⁾

¹⁾ იქნა გვ. 519—520. ²⁾ იქვე გვ. 520.

გორათგანის როსტომ მეფებმ ბოჭაულით სუცესს
ელიზბარ დავითიშვილს გაატანა ჩსეიძეები უაქთან,
რომელსაც ამნაირი არზა მასწერა: „ქართველი ჩემის
უშვილობისა და უნათესავობისთვის ურჩობენ და აშვაცობენ,
რადგან ჩემს საბოლოოს კრა სედავენ. ჩემს ბიძაშვილს
თვიმურაზეს სამი შვილი ჰყავს და რომელსაც პაპიჩემის
დუანსაბის სახელი ჰქვიან, ის გვიბოძეთ, რომ ჩვენ უკან
ქართველთ საბატონოდ ეგულებოდეთ“. ამის შემდეგ შეუდგა
მეცადიობას ნოდარ ციციშვილი შეუტო. ეს გამაგრდა
ზოვრეთის ცისეში. როსტომ მეფებმ გორის ცისითგან
წაიღო ზარბაზნები და დაუწერ სროლა ცისეს, მაგრამ, ქვით-
კირს რომ კრა დააკლო-რა, აღუა შემოარტყა. მეფე ადგა
ცისეს 1642 წ. 6 იანვრამდე. შეწუხებულმა მეციხოვნებმა
მოინდომეს ციციშვილის ხების წინაამდეგ ცისის დანებება.
მაშინ ციციშვილმა თავის დედა მაუგზანა როსტომს სახე-
წრად, რომ ის გაეშვა ცისითგან თავისუფლად და მაუცა გზა
სამცხეში წასასკლელად. მეფებმ ციციშვილის დედა, კასე-
თის ბატონიშვილი, დიდის პატივით მიაღო და შეიწენარა
მის სათხოვარი: ხება მისცა ნოდარ ციციშვილს სადაც უნდა
წასულიყო თავის მსლებლებით და ქანებით, ამას გარდა
თითონვე ათხოვა ცხენები და ჯორები, რომ ზოვრეთითგან
ასალცისემდე ბარგი წაეღო. უარი უკო მს ლოდ პირად
ნახვაზე, რომელსაც ციციშვილი სოსოვდა. ¹⁾)

¹⁾ იქვე გვ. 520—521.

V

როსტომის მოწინაამდეგები მაინც არ დაწყინაოდება
და მის წინაამდეგ მოქმედებდენ. იმათ ჭრილდათ განუ-
წყვეტილი მისკლა-მოსკლა თეიმურაზ მეფისთან და კახეთში
აწყობდენ არეულობის საქმეს. თეიმურაზ მეფეს ძალიან
უნდოდა როსტომის განდეგნა და ქართლის შეერთება.
ამ მიზნის მისაღწევად უოკელს საშუალებას სმართობდა:
ერთის მსახიობ რუსთაველმწიდვეს შეკიცცა შეუშევრდობობა,
მეორე მსახიობ სპარსეთის ყაენს შეურიგდა და ქართლის
თავადებისა და მცხოვრებლების იმსრობდა. მაგრამ რუ-
სეთის იმედი იმას არ უმართლდებოდა ისე, როგორც
თითონ უნდოდა. 1639 წ. გაგზანილი მოციქული
ნიკითოვარე მიტროპოლიტი დაბრუნება რუსეთითვან 1642
წ. მართამობისთვეში. მას თან მოჰყვები რუსის მო-
ციქულები მიშეცვა და კლიუჩიარევი. რუსთ სელმწიდვეს
უარი შემოეთვალა თეიმურაზის სათხოესამის და მსოლოდ
20,000 ტალერი და 2,240 მანეთის სიასამური გამოეგ-
ზანა. ამასე დორის, ენგენისთვეში, მოვიდა თეიმურაზთან
ყაენის მოციქული, რომელმაც მოუტანა საჩუქრები ასლად
გაცელებითებულის „შაჰ-აბაზ II-ის განა“.

ყაენის მოციქულებს მისდობილი ჭრილდათ თეიმურაზ-
თან მოელაპარავნათ, რომ რუსეთზე სელი „ეღო¹) და რო-
სტომ მეფის წანაამდეგ მოქმედებისთვას თავი დაეჩებებინა.

¹⁾ Переп. стр. LI — LIII.

თეიმურაზმა ყაენის მოციქულს მისცა აღთქმა, ოომ
შეასრულებდა ყაენის სურვილის და ოსტომის არ გაუ-
წევდა წინაამდეგობას. ¹⁾ მაგრამ ეს - დაპირება ტეურილი
იყო თეიმურაზის მსრით, ოდგან როსტომის მტრობის-
თვის იმას არ დაუხებებია თავი. შირიქით ქართლის
თავდებმა ზაალ არაგვის ერისთავმა, ელიზბარ ქსნის
ერისთავმა და ითომ ამილასვარმა თეიმურაზ მეფესთან
ერთად გადაწყვიტეს ამავე წელს ოსტომის წინაამდეგ
აჯანცება.

1642 წ. 24 ქრისტეშობისთვეს შეიტყო ოსტომ
მეფემ, ოომ მას მოწინაამდებე თავადები ერთად შეურილი-
ებენ ასალგორში, სადაც ჯარს კრებლენ და უცდიდენ
თეიმურაზის მისცლას საუკურცლებელი. ამ ამბის გაგონებაზე
ოსტომიმა მაშინვე ბძანება გასცა, ოომ ლაშქარი მცხეთაში
შეკრებილიყო მხის ჩასვლამდის, ამასთან მუხრან
ბატონის ვასტანგის მისწერა: „შენის ლაშქრით მხად
დამსვდი, ლვითს შეწებნით ამაღამ მანდ მოვალო“. ოსტ-
ომ მეფე მცხეთას ოომ მივიდა, ლაშქარი მზად დასკდა
მუხრანითვან მეფემ შეუსკენებლად ჩქარის ნაბიჯით
წაიუვანა ჯარი ასალგორს და დილაადრიან შობა დღეს
თავს დასხა ლოცვაზე მდგარს თავის მტრებს. ამათ
ეჩერც არ ჭრილდათ, ოომ ოსტომ მეფე თავს დაესხმო-
დათ. ზარდარემულები მაშინვე გაიქცენ, ვისაც როგორ
შეეძლო. მათი სამზადისი მეფის ლაშქარს დასხა. მეფე

¹⁾ Moundji (ob. H. d. G. t. II, l. I. p. 510

იმ დღეს ახალგორს დატა, მეორე დღეს დატუკისაზუღაში გაათავისუფლა, სოჭო თითონ გორს წავიდა.

იმ ზამთარს (1643) როსტომის გორში ყოფნის დროს, სპარსეთითგან მოვიდა ელიზბარ დავითიშვილი, რომელსაც შაჰ-აბაზ II-ემ გამოატანა ლუარსაბ ბატონიშვილი. ესენი სწერდა: „შენის ბიძაშვილის თემურაზის შეიდი შენთვის შეილად გეოხოვნა. გამოგვიგზენდა და ქართველთავის გვიბძენებია, რომ უივლისწულად და თქვენ შეილად მიაჩნდეთ და თქვენ უკან ქართლის მეფობა მაგისთვის მიგვიციათ“. ეს ამბავი ეწყინათ თემურაზ მეფის მომსრეების, რომელთაც მით უფრო ჰქონდათ ძმედი თემურაზის ქართლში გამეოვებისა, რომ როსტომს მემკვიდრე არა ჰყავდა. ქართლის მეფობას ცდილობდა ავრეთვე გიორგი გოჩა შეილი, გაგრატიონის გვარისა. ლუარსაბ ბატონიშვილის შემკვიდრედ დანიშნამ უფრო მკვიდრად შეაკავშირა როსტომის მოწინაამდეგენი. ისინი შეუდგენ შეთქმულობის გამართვას. უმთავრესი მასაქშენა იყვნენ: გიორგი გოჩა შეილი; რეგაზ ბარათაშვილი, ყორსმანი სომხეთის მელიქი და ეკდემლის კათოლიკოსი (დიასამიშვილი¹).

1644 წ., როდესაც როსტომ მეფე ცხირეთში იდგა; შემთქმელებმა დაწუეს, რომ თემურაზ მეფე მეტეს მისულიყო მცირეოდენის ჯარით და, როცა როსტომი თემურაზს შეატაჭოდა, უნდა მაშინ მოუკლათ ტალატით და გაეკრცებინათ სმა, რომ ამში მოგვდათ. მაგრამ ეს

¹⁾ გიორგიჯანიძე (იხ. ქართ. ცხოვ. ტ. II, გვ. 522).

